ხელშეკრულება №12

ქ. თბილისი **2020 წელი**

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1. ერთი მხრივ, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (შემდგომში „შემსყიდველი“) მინისტრის მოადგილის გიორგი წოწკოლაურის სახით, და მეორე მხრივ, შპს „Made To Make“ (შემდგომში „მიმწოდებელი“), დირექტორის ზაზა აბულაშვილის სსახით.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსათვის თანხის გამოყოფის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 30 იანვრის N169 განკარგულების შესაბამისად, საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნების ფარგლებში, შემსყიდველმა, განახორციელა სპეციალური დანიშნულების ტანსაცმლის შესყიდვა, რაზედაც მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მოაწოდოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული საქონელი 176 944 (ას სამოცდათექვსმეტი ათას ცხრაას ორმოცდაოთხი) ლარად (შემდგომში „ხელშეკრულების ფასი“).

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები.

3.1. შესყიდვის ობიექტის სახეობა, რაოდენობა და ერთეულისა და საერთო ფასი განსაზღვრულია დანართით, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის მატერიალური უზრუნველყოფის და ლოჯისტიკის სამმართველოს უფროსი - გურამ გიორგობიანი და სსიპ „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის“ ლოგისტიკის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე - გოჩა აბულაძე, რაც გულისხმობს ხელშეკრულების პირობების შესრულების, ასევე მოსაწოდებელი საქონლის წარმოების, შეფუთვის, ჰიგიენური ნორმების სვხა მოწოდებისათვის აუცილებელი პირობებისა და ნორმების დაცვის კონტროლს.

4.2. კონტროლის განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა საჭირო საბუთის წარგდენა, ფინანსური ხარჯის და საორგანიზაციო საკითხების გადაწყვეტა ეკისრება მიმწოდებელს.

5. შეფუთვა

5.1. მისაწოდებელი საქონელი შეფუთული უნდა იყოს შესაბამისი ნორმების დაცვით.

5.2. მიმწოდებელი პასუხისმგებელია შემსყიდველის წინაშე საქონლის ნებისმიერი სახის დაზიანების შემთხვევაში, რომელიც გამოწვეული იქნება არასწორი შეფუთვით.

6. საქონლის მოწოდების ვადა და ადგილი

6.1. საქონლის მოწოდება განხორციელდება შემსყიდვლის მოთხოვნის შესაბამისად, ქ. თბილისის მასშტაბით.

6.2. საქონლის მოწოდება განხორციელდება, ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 25 კალენდარული დღის განმავლობაში.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. მიღება-ჩაბარების აქტებს შემსყიდველის მხრიდან ხელს აწერს სათანადოდ უფლებამოსილი წარმომადგენელი, ხოლო მიმწოდებლის მხრიდან მის მიერ უფლებამოსილი პირი.

7.3. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებისათვის მიმწოდებელმა, უნდა წარმოადგინოს სასაქონლო ზედნადები ან/და გასავლის ზედდებული მიწოდებული საქონლის დასახელების, რაოდენობის, ერთეულის ფასის და საერთო ღირებულების მითითებით.

8. ანგარიშსწორება

8.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება: უნაღდო ანგარიშსწორება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე საქონლის მოწოდების შემდეგ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ფინანსური დოკუმენტების საფუძველზე.

9. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

9.1 შემსყიდველი უფლებამოსილია მოითხოვოს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო საქონელი.

9.2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მოწოდებული საქონლის ღირებულების დროული გადარიცხვა მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე;
9.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების დროული გადარიცხვა მის საბანკო ანგარიშზე;
9.4. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს:

ა) ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ხარისხის საქონლის მოწოდება შემსყიდველისათვის წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;
ბ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გადახდა და არ მოსთხოვოს შემსყიდველს სხვა არავითარი გადასახადის ან დამატებითი თანხის გადახდა.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

10.1. საქონლის მოწოდებისთვის განსაზვრული ვადების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელი ყოველ ვადაგადაცილებულ კალენდარულ დღეზე გაანგარიშებით იხდის პირგასამტეხლოს ხელშეკრულების ფასის 0,01%-ის ოდენობით.
10.2. ანგარიშწორებისათვის განსაზვრული ვადების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ კალენდარულ დღეზე გადასახდელი თანხის 0,01%-ის ოდენობით.
10.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
10.4. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს დაზარალებულ მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა და ფასები

11.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
11.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება უნდა გაფორმდეს წერილობით, ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. ფორს-მაჟორული გარემოებები

12.1. ხელშეკრულების საფუძველზე არც ერთი მხარე არ აგებს პასუხს მეორე მხარის წინაშე და თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან საკუთარი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ (ნაწილობრივ) შესრულების გამო, თუ ამის მიზეზი გახდა საგანგებო ხასიათის მქონე გადაულახავი ძალა, რომლის წარმოშობაზე ხელშეკრულების მონაწილე მხარეები პასუხს არ აგებენ და რომლის არსებობის ან წარმოშობის შესახებ ხელშეკრულების დადების მომენტში არ შეეძლოთ სცოდნოდათ.
12.2. გადაულახავ ძალად ჩაითვლება შემდეგი (და არა მხოლოდ):
ა) სტიქიური უბედურებანი (ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა, შტორმი და სხვა);
ბ) გამოცხადებული ან გამოუცხადებელი ომი, სამოქალაქო არეულობა, ნებისმიერი სახის საომარი მოქმედებები, საგანგებო მდგომარეობა;
გ) ეპიდემიები;
დ) ბლოკადა ან ნებისმიერი ეკონომიკური ემბარგო;
ე) ხელისუფლების ნებისმიერი ერთეულის ან ხელისუფლების მიერ საამისოდ კომპეტენტურად განსაზღვრული ორგანოს გადაწყვეტილება და ისეთი ნორმატიული აქტის გამოცემა, რომელიც ზემოქმედებს მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და ცვლის, წყვეტს ან აჩერებს ხელშეკრულების დებულებებსა და პირობებს.
12.3. ფორს-მაჟორული მოვლენა დადასტურებული უნდა იქნეს კომპეტენტური ორგანოს მიერ.
12.4. ფორს-მაჟორული მოვლენების წარმოშობის შესახებ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის ხელთ არსებული საკომუნიკაციო საშუალებით (ტელეფონი, ფოსტა, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, კურიერი და სხვა).
12.5. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობა ავტომატურად არ იწვევს ხელშეკრულების გაუქმებას. მხარეები ვალდებულნი არიან განსაზღვრონ წინამდებარე ხელშეკრულების ფორს-მაჟორულ მოვლენებთან მისადაგების საკითხი.
12.6. ფორს-მაჟორული გარემოებების შეწყვეტისთანავე მხარეები დაუყოვნებლივ აგრძელებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

12.7. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის პირობებში, ვალდებულებების შესრულების პერიოდი შეჩერდება იმ დროით, რა დროსაც გასტანა ასეთმა გარემოებებმა თუ მხარეთა შორის არ იქნა მიღწეული სხვაგვარი შეთანხმება.
12.8. მხარე არ თავისუფლდება პასუხისმგებლობიდან, თუ კი ფორს-მაჟორული მოვლენის დადგომა გამოწვეულია მისი ბრალით, ან ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება შესაძლებელი იყო ასეთ გარემოებათა დადგომამდეც გონივრულ ვადებში.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი
13.1 მხარეთა შორის წამოჭრილი დავა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
13.2. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა მოლაპარაკების შედეგად შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
13.3 თუ მხარეები ვერ შეძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. სხვა პირობები
14.1 მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.
14.2 ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.
14.3 მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.
14.4 ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ვერ ან არ შესრულების, მისი შესრულებისას დარღვევების და ა. შ. თუ წინასწარ არ მოხდა შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.
14.5 კონფიდენციალობის დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება წარმოადგენს კანონის ან კანონის საფუძველზე ხელისუფლების რომელიმე ორგანოს მიერ გამოცემული აქტის მოთხოვნას.
14.6. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერისთანავე.
14.7. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2020 წლის 15 მაისის ჩათვლით.

„შემსყიდველი“

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის სამინისტრო
საიდენტიფიკაციო კოდი: №202486559
ქ. თბილისი, 0119, წერეთლის გამზ. №144.

სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22 (220101222)
ა/ა 200122900

გიორგი წოწკოლაური
მინისტრის მოადგილე

Digitally signed by Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia
Date: 2020.02.27 15:51:42 +04'00'

„მიმწოდებელი“

შპს „Made To Make“
საქართველო, ქ. თბილისის, აკაკი წერეთლის გამ N41
საიდენტიფიკაციო კოდი ს/კ 404954377
სს „პროკრედიტ ბანკი“
ბანკის კოდი: MIBGGE22
ა/ა GE38PC0113600100030518GEL

ზაზა აბულაშვილი
დირექტორი

LTD Made To Make

Digitally signed by LTD Made To Make
Date: 2020.02.27 14:05:29 +04'00'

N12 ხელშეკრულების დანართი

დასახელება	რაოდენობა	ერთეული	ერთ. ფასი	ჯამური ღირებულება
პერსონალური დაცვის ბიოქიმიური კომბინიზონი სხვადასხვა ზომის TYVEK /COVERGUARD	4000	ცალი	29 ლარი	116 000 ლარი
პერსონალური დაცვის სათვალე გუგლის ტიპის GRAND S-550	4257	ცალი	12 ლარი	51 084 ლარი
ბიოლოგიური დაცვის ბახილი POBO	3 400	ცალი	2.90 ლარი	9860 ლარი
				სულ ჯამი: 176 944 ლარი

„შემსყიდველი“

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის სამინისტრო
საიდენტიფიკაციო კოდი: №202486559
ქ. თბილისი, 0119, წერეთლის გამზ. №144.

სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22 (220101222)
ა/ა 200122900

გიორგი წოწკოლაური
მინისტრის მოადგილე

„მიმწოდებელი“

შპს „Made To Make“
საქართველო, ქ. თბილისის, აკაკი წერეთლის გამ N41
საიდენტიფიკაციო კოდი ს/კ 404954377
სს „პროკრედიტ ბანკი“
ბანკის კოდი: MIBGGE22
ა/ა GE38PC0113600100030518GEL

ზაზა აბულაშვილი
დირექტორი

LTD Made To Make

Digitally signed by LTD Made To Make
Date: 2020.02.27 14:04:02 +04'00'